




# 19 სექტემბერი

ხუთშაბათი, 1963 წ.
№ 186 (2291)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.


სექტემბერი ორი მსოფლიო პირველობით აღინიშნა. ახლახანს ტრიუმფით დაბრუნდნენ სტოკჰოლმიდან ჩვენი ქვეყნის ძალოსნები და უკვე გაემგზავრნენ შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში საბჭოთა ხუთჭიდელები. აქ 22 სექტემბერს იწყება მსოფლიო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან: მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ი. ნოვიკოვი (სომხეთი), ვ. მინეევი (აზერბაიჯანი), ა. მოკეევი (მოსკოვი) და გ. ბიჩუკიჩი (უკრაინა). დელეგაციას ხელმძღვანელობს ა. სოკოლოვი, მწვრთნელია — ე. ტალაევი. სპორტსმენთაგან მხოლოდ სამი მიიღებს მონაწილეობას ასპარეზობაში, ხოლო თუ ვინ, ეს გადაწყდება უშუალოდ შეჯიბრების წინ. უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხუთჭიდელები წარმატებით გამოდიან მსოფლიო პირველობებზე და ხან გუნდურ პირველობას, ხან კი პირად პირველობას ეუფლებიან ხოლმე. იმედია ამ „ტრადიციას" ისინი არც წელს დაარღვევენ.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრები: ა. მოკეევი, ი. ნოვიკოვი, ვ. პიჩუჟკინი, ვ. მინეევი. მარჯვნივ — ი. ნოვიკოვს ავარჯიშებს უფროსი მწვრთნელი ფარიკაობაში ლ. საიჩუკი.

ფოტო ვ. შანდრინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# რეკორდი უდრის 38,1 წამს

სიმფეროპოლში გაიმართა საფრანგეთის მუშათა სპორტულ-ტანვარჯიშული ფედერაციისა და საბჭოთა პროფკავშირების ველოსიპედისტთა მატჩი ტრეკზე რბოლაში, პარალელურად ტარდებოდა პროფკავშირთა საკავშირო პირველობაც.

შეჯიბრება გახსნეს 3 კმ გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლის მონაწილე ქალებმა. გაიმარჯვა სიმფეროპოლის მედინსტიტუტის სტუდენტმა ვ. სკუდრემ — 4.18,7. ვაჟთა 4 კმ დისტანციაზე უძლიერესი იყო კიეველი მ. ნეჩიპურენკო — 5.11,2. საბჭოთა სპორტსმენებს მესამე გამარჯვება მოუტანა ტ. ფილიპოვამ 500 მ გიტში ადგილიდან— 40,1. ამ სახეობაში კონკურსგარეშე გამოდიოდა არმიელი სპორტსმენი ი. კირიჩენკო (ხარკოვი), რომელმაც აჩვენა 38,1 და 0,1 წამით გააუმჯობესა მსოფლიო ჩემპიონ გ. ერმოლაევას მსოფლიო რეკორდი.

ვაჟთა სპრინტში პირველი იყო ბ. ვასილიევი, ფრანგმა ქ. გრომ მოიპოვა მეორე ადგილი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов


# 6 ქულით უკეთესი



პოლონეთის ქალაქ რემბერტუვში მიმდინარეობს საერთაშორისო შეჯიბრება ტყვიით სროლაში, სადაც ძალებს ცდიან ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებიც. ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა ქალები. მათ მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლელა სროლაში 1768 ქულა მოაგროვეს და პირველობა გაინაღდეს. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ე. ავილოვა — 591 ქულა (600-დან), ვაჟთა შორის ეს ვარჯიში მოიგეს უნგრელებმა. სამაგიეროდ, საბჭოთა სპორტსმენ ვ. ევდოკიმოვის გამარჯვებით დამთავრდა ნებისმიერი შაშხანიდან სტანდარტზე (3X40) სროლა. მან 1141 ქულა მოაგროვა 1200 შესაძლებლიდან.

ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა. მოსკოველმა ვ. ბორისოვმა დგომელა სროლაში მოაგროვა 382 ქულა (400-დან). ეს შედეგი 1 ქულით აღემატება გასულ წელს არმიელ ე. კნიაზევის მიერ დამყარებულ საკავშირო რეკორდსა და 6 ქულით უკეთესია ამერიკელი გ. ანდერსონის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე.

# ოთხი მატჩი უნგრელებთან

21 და 22 სექტემბერს უნგრეთსა და საბჭოთა კავშირში მოეწყობა ამ ქვეყნების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ოთხი მატჩი. 21 სექტემბერს მოსკოვში ითამაშებენ ამ ქვეყნების ჭაბუკთა ნაკრები კოლექტივები, ხოლო უნგრეთის ქალაქ ტატაბანიაში — ახალგაზრდული გუნდები. მეორე დღეს მოსკოვში გაიმართება პირველი ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. იმავე დღეს დებრეცენში (უნგრეთი) ითამაშებენ „ოლიმპიური" კოლექტივები.

საბჭოთა კავშირის I ნაკრების (გუნდს წვრთნიან კ. ბესკოვი, ვ. ტროფიმოვი და ნ. გულიაევი) შემადგენლობაში შეყვანილნი არიან: მეკარეები ლ. იაშინი (მოსკოვის „დინამო"), ი. ბაუშა; მცველები — ე. დუბინსკი, ა. შესტერნევი (ყველა ცსკა); ვ. შუსტიკოვი („ტორპედო"), ა. კრუტიკოვი, („სპარტაკი"), ლ. ოსტროვსკი (კიევის „დინამო"); ნახევარმცველები — ვ. ვორონინი („ტორპედო"), გ. ლოგოფეტი („სპარტაკი"), ვ. კოროლენკოვი (მოსკოვის „დინამო"); თავდამსხმელები — ს. მეტრეველი (თბილისის „დინამო"), ვ. ივანოვი („ტორპედო"), გ. გუსაროვი (მოსკოვის „დინამო"), ე. მალაფეევი (მინსკის „დინამო"), გ. ჰუსაინოვი („სპარტაკი"), ვ. პონედელნიკი (სკა) და მ. მესხი (თბილისის „დინამო").

ოლიმპიური ნაკრების ინტერესებს დაიცავენ: მეკარეები — რ. ურუშაძე (ქუთაისის „ტორპედო"), ვ. ბანიკოვი (კიევის „დინამო"); მცველები — ვ. პონომარიოვი, ვ. სემიგლაზოვი, ვ. დოროდნიხი (ყველა ცსკა), ვ. დანილოვი („ზენიტი"), მ. ხურცილავა (თბილისის „დინამო"), ე. მუდრიკი. ნახევარმცველები — ვ. მასლოვი (ორივე მოსკოვის „დინამო"), ს. ზავიდონოვი („ზენიტი"), ა. ბიბა; თავდამსხმელები — ო. ბაზილევიჩი, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. ლობანოვსკი (ყველა კიევის „დინამო"), ბ. კაზაკოვი („კრ. სოვეტოვი"), გ. მატვეევი (სკა), ი. სევიდოვი („სპარტაკი") და ვ. ფადეევი (მოსკოვის „დინამო"). ოლიმპიელებს წვრთნიან ვ. სოლოვიოვი და ე. ლიადინი.

## მეორე ქვეჯგუფში

შედგა მორიგი ტურის მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ქვეჯგუფის გუნდებისათვის. გათამაშების ლიდერმა, იაროსლავლის „შინიკმა" რიგაში დაამარცხა ადგილობრივი „დაუგავა" — 1:0. გამარჯვება მოიპოვა ტურნირში მეორე ადგილზე მყოფმა კალინინგრადის „ვოლგამაც". მან ანგარიშით 2:1 ვილნიუსში მოუგო „ჟალგირისს". ძლიერად ჩაატარეს მატჩი ნოვოსიბირსკის არმიელებმა ოდესის „ჩერნომორეცის" წინააღმდეგ და ძლიეს მას — 3:1. გომელის „ლოკომოტივმა" ამავე ანგარიშით დამარცხება განიცადა ლუგანსკში „შრ. რეზერვებთან".

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი)-„ტრუდი" (ვორონეჟი)—3:0, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი)-„ყუბანი" (კრასნოდარი) — 0:0, „შახტიორი" (ყარაგანდა)-„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — 3:3, „ალგა" (ფრუნზე)-„მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — 1:3. ლვოვის „კარპატმა" საკუთარ მოედანზე მიიღო სვერდლოვსკის „ურალმაში" და დაამარცხა იგი — 2:1.

# ო. რუბცოვა: ოლიმპიადა აღინიშნება შემოქმედებითი წარმატებით

21 სექტემბერს იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში საზეიმოდ გაიხსნება ქალთა II საჭადრაკო ოლიმპიადა (მსოფლიო გუნდური პირველობა). ამ დიდ პაექრობაზე მთავარ მსაჯად მიწვეულია მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ო. რუბცოვა.

იუგოსლავიაში გამგზავრების წინ ოლიმპიადის მთავარმა მსაჯმა ო. რუბცოვამ საკავშირო რადიოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ქალთა I საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც 22 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, მოეწყო 1957 წელს ჰოლანდიის ქალაქებში. საბჭოთა კავშირის გუნდმა, რომელშიც შევდიოდით კ. ზვორიკინა და მე, პირველი ადგილი დაიკავა. II ოლიმპიადაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 15 ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის სპორტული პრესტიჟის დაცვა დავალებული აქვთ მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ტ. ზატულოვსკაიას. გუნდის სათადარიგო მონაწილედ იუგოსლავიაში ჩავა საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა.

საბჭოთა მოჭადრაკეებს ჩემპიონის სახელისათვის მთავარი ბრძოლა მოუწევთ იუგოსლავიის ნაკრებთან, რომლებშიც შედიან ევროპაში სახელმოხვეჭილი ოსტატები მ. ლაზარევიჩი და ვ. ნედელკოვიჩი. მხედველობაში მისაღები არიან აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და უნგრეთის გუნდები. მაგალითად, I ოლიმპიადაზე ჩვენს გუნდს ძირითად კონკურენციას პირველი ადგილისათვის უწევდა რუმინეთის ნაკრები. წელს რუმინელებს ისევ ძლიერი შემადგენლობა ეყოლებათ.

საერთოდ დასანანია, რომ გუნდში მხოლოდ ორი მოჭადრაკე შეყვანილი. ეს თავისთავად ძალზე ამწვავებს ბრძოლას და სადაც შეიძლება შედეგის შემთხვევითობასაც უწყობდეს ხელს.

ჩემის აზრით, ოლიმპიადის ჩემპიონის მოპოვების ყველაზე მეტი შანსი აქვს საბჭოთა მოჭადრაკეთა გუნდს. ეჭვი არ მეპარება, რომ ოლიმპიადა აღინიშნება მოჭადრაკე ქალთა შემოქმედებითი წარმატებით. მთავარი კი ისაა, რომ ოლიმპიადა კიდევ უფრო განავითარებს მეგობრობას სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს შორის.



☐ ფიზიკური ვარჯიშის სახეობა.

☐ ფეხბურთი. საქართველოს პირველობა.

☐ სამყაროს ნაკრების წევრები.



# წიგნის თაროზე — სპორტული ლიტერატურა

## ნორჩ ტურისტთა დასახმარებლად

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა ახლახან გამოსცა სამი ბროშურა, რომელთა მიზანია მშობლიური მხარის შესასწავლად და ბუნების წიაღის დასალაშქრავად გასული ნორჩი ტურისტების დახმარება როგორც თეორიულ-მეთოდური, ისე პრაქტიკული რჩევებით.

პირველი მათგანი წარმოადგენს ინსტრუქციას პიონერ-მოსწავლეთა ექსკურსიებისა და ლაშქრობების ჩატარების შესახებ. აქ განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზაცია, ლაშქრობის გეგმის სქემა, ექსკურსიების ხელმძღვანელთა მოვალეობანი, დღის რეჟიმი ტურისტულ ლაშქრობაში, ნორჩი ტურისტის პირადი საჭურველი და ინვენტარი და ა. შ. აქვეა სასკოლო ტურისტული ბანაკის მუშაობის დებულება, სადაც მოცემულია მეთოდური მითითებანი ბანაკის დაკომპლექტების, ტურისტული ბანაკის მუშაობის შინაარსისა და ფორმის, დასაბანაკებელი ადგილის შერჩევისა და ბანაკის მოწყობის, ნორჩ ტურისტთა ვალდებულებების და მოვალეობების, ბანაკის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის შესახებ.





ინსტრუქციის დანართშივე კონკრეტულადაა განხილული ტურისტული ბანაკის დღის რეჟიმთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე სახელმძღვანელო დებულებანი რაიონისა თუ ქალაქის ტურიზმის პასუხისმგებელი ორგანიზატორისა და სკოლის, საბავშვო სახლის, სკოლა-ინტერნატის ტურიზმისა და საექსკურსიო-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის პასუხისმგებელი ორგანიზატორის სახელმძღვანელოდ, მოცემულია ტურიზმის სხვადასხვა ნიშნის („ნორჩი ტურისტი“, „სსრკ ტურისტი“) ნორმები და მოთხოვნები.

მ. ერისთავის ბროშურა — „მოიმზადე სალაშქრო საჭურველი“ ნორჩი ტურისტისათვის მეტად ძვირფას რჩევას წარმოადგენს. როგორ უნდა შეიკეროს დასაშლელი კარავი, ზურგჩანთა და საველე ჩანთა? რა საჭურველი და ინვენტარია საჭირო ლაშქრობის დროს? როგორ უნდა მოვათავსოთ ეს უარებელი ნივთი პატარა ზურგჩანთაში ისე, რომ მოხერხებულად ვატაროთ იგი? რა პრინციპები უნდა ბატონობდეს მოლაშქრეთა შორის? ყველა ამ კითხვაზე ამომწურავი პრაქტიკული პასუხია გაცემული აღნიშნულ ბროშურაში.

დაბოლოს, ამავე ავტორის „ტურისტულ კოცონთან“. აქაც პრაქტიკული საკითხებია განხილული. მკითხველი გაიგებს, თუ როგორ უნდა საბანაკო ადგილის შერჩევა და კარვის გაშლა, როგორ უნდა დაინთოს ცეცხლი, რომელიც აუცილებელი თანამგზავრია ყოველი ტურისტისათვის.

აღნიშნული ბროშურები დიდ და სასარგებლო დახმარებას გაუწევს ნორჩ ტურისტებს.

## ეძღვნება XIII ყრილობას

სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართოს საკავშირო საშემოდგომო მძლეოსნური კროსი, მიძღვნილი საკავშირო პროფკავშირთა XIII ყრილობისადმი.

კროსი გაიმართება სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე შეჯიბრებანი მოეწყობა საამქროებში, განყოფილებებში, ცვლებში, ბრიგადებში, ფაკულტეტებზე, კურსებზე, ჯგუფებში.

მეორე ეტაპის ღონისძიებებს მართავენ წარმოებათა, მშენებლობათა, სასწავლო დაწესებულებათა მეურნეობის პირველობებზე.

მესამე ეტაპს წარმოადგენს მასობრივი შეჯიბრებანი სარაიონო და საქალაქო პირველობებზე, სადაც მონაწილეობენ ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტული კლუბების გუნდები.

ფინალური შეჯიბრებანი გაიმართება 27 ოქტომბერს მოსკოვში, ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა XIII ყრილობის გახსნის წინ.

ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციას დაავალა სამზადისში აქტიურად ჩააბას აქტივი, მწვრთნელები, ჩვენი ქვეყნის მძლეოსნური ნაკრების წევრები, ხელი შეუწყოს ადგილებზე ღონისძიებათა ორგანიზებულად ჩატარებას.

## ფიზიკური ვარჯიშის სახეობა

ქვების აწევა, გადატანა და სროლა მსოფლიოს ბევრი ხალხის ძველ ყოფაშია დამოწმებული. ამ მეტად საინტერესო ფიზიკურ ვარჯიშს არაერთი წერილი მიეძღვნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. აფრიდონიძის მიერ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია, სადაც საყურადღებო ისტორიული ცნობაა მოყვანილი.

ქვის აწევა ძალიან გავრცელებული იყო მთელ საქართველოში, მაგრამ იგი შემორჩა მხოლოდ მთიან რაიონებს. ფიზიკური ვარჯიშის ეს სახეობა ჩვენს მიერ აღწერილია ხევსურეთში, ზემო სვანეთში, ფშავში, თუშეთში, ზემო და მთიან რაჭაში, ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში. სვანეთის ბევრ სოფელში დღემდე შემორჩენილია ისეთი ქვები, რომლებსაც სპეციალურად ამოკვეთილი აქვს ხელის მოსაკიდი ადგილები. ქვები არსებობდა კაცებისა და ქალებისათვის ცალცალკე. ასეთი ქვა ჩვენ ვნახეთ სოფელ ლალაბში (მესტია), რომელსაც სვანები „მეხის პინდახს“ უწოდებენ (ელვისაგან შენადუღი). ქვა 85 კილოგრამს იწონის.

სპეციალური ქვა არის სოფელ ლანჩვალის (მესტია) მოედანზე. ფორმით იგი კუბს წააგავს, გამოკვეთილია გრანიტისაგან და 9-10 ფუთს იწონის. ქვას სხვადასხვანაირად სწევდნენ. ზოგს მტკაველზე აჰქონდა, ზოგს მუხლამდე ან მკერდამდე, ხოლო ერთეულები ქვას რამდენიმე ნაბიჯზე გადაიტანდნენ და უკან აბრუნებდნენ. სხვადასხვა სოფელში ქვას სხვადასხვანაირად სწევდნენ. ამასთანავე, ახსოვთ ისეთებიც, რომლებიც არა მხოლოდ სწევდნენ, გადაიტანდნენ, არამედ ისროდნენ კიდეც მას დაახლოებით ერთნახევარ-ორ მეტრზე.

ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია უზარმაზარი, დაახლოებით 40 ფუთის ქვა, რომელსაც „ჯიჯავაძის ქვას“ უწოდებენ. იგი კონუსის ფორმისაა. აქვს მკლავის ამოსადები ხვრელი. მსგავსი, მაგრამ უფრო მცირე ზომის სხვა ქვებიც არის აქ. აღნიშნული ქვების შესახებ არსებობს გადმოცემა: „ყოფილა ვინმე ჯიჯეო ჯიჯავაძე, დევგმირული აღნაგობის ვაჟკაცი, რომელიც ყოველ დილით ცივი წყლით ტანს დაიბელდა, ქვით მარჯვენა ხელში სახლს გარშემო შემოუვლიდა და თან მარცხენა ხელით თმას ივარცხნიდა“ (ლიტერატურული გაზეთი, 1961 წ. 3 XI). ვინაიდან ეს საკითხი შესწავლილი არაა, ძნელია მტკიცება იმისა, რომ ეს ქვა (40-ფუთიანი) სპეციალურად ამ დანიშნულებისა იყო.

ძველ ლიტერატურაში აქა-იქ გვხვდება მოკლე ცნობები სახალხო ზეიმების შესახებ, სადაც გართობის ერთ-ერთ მთავარ სახეობად სწორედ ქვის აწევა და გადატანა იყო. საინტერესო ფოლკლორული მასალა ჩავიწერეთ 1961 წელს რაჭაში:

„აფხაზეთის მთავარი დაეჩიძლავა იმერეთის მეფე სოლომონს, თუ ვისი მეომარი გაიმარჯვებდა ქვის სროლაში. იმერეთის მეფემ მიმართა იმ დროს იქ მყოფ გლოლელებს (მთიანი რაჭის სოფ. გლოლის მცხოვრებთ): „თქვენ ღონიერი ხალხი ხართ. ამოარჩიეთ თქვენგან ისეთი, რომელიც ქვას აფხაზეთის მთავრის მეომარზე შორს გადააგდებს“. რაჭველებმა ამაზე მიუგეს: „ჩვენ ჰიდაობა გვეხერხება. დავეჭიდებით ვისაც კი მოიყვანს“. „არა, — უპასუხა მეფემ, — მე მინდა ისეთი, ვინც შორს გადააგდებს ქვას“. მაშინ მეფეს შესთავაზეს თავიანთი თანასოფლელი თედორე. მეფემ მოიწვია თედორე. როდესაც მას აუხსნეს მოწვევის მიზეზი, მან შორს დაიჭირა: „მე დიდი ხანია არ მისვრია ქვა და ამით არასოდეს არ ვყოფილვარ დაინტერესებული, ჭიდაობით შემიძლია ვეჭიდაო ვისაც გსურთ“. როგორც იქნა დაიყოლიეს თედორე. აფხაზმა მას უთხრა: „ჯერ გადააგდე იმდენზე, რამდენზეც მე ვაგდებ საერთოდ“. თედორემ გადააგდო ქვა, მეფეს არ გამოპარვია, რომ თედორემ ძალის დაუძაბავად ქვა გადააგდო შორს, ამიტომ მეორედ ტყორცნა უბრძანა. თედორემ ეხლა მთელი ძალით ტყორცნა. ქვა ორჯერ უფრო შორს გადავარდა, ვიდრე აფხაზის ნასროლი იყო. მეფემ გამარჯვებული გაანთავისუფლა ყოველგვარი გადასახადისაგან და უთხრა: „მზისა და წვიმის მეტი ნურაფერი შეაწუხებს შენს სახლს და იყოს იგი მუდამ ჰირნახულიანი“

ამის შემდეგ თედორემ სურვილი გამოთქვა კიდევ ესროლა ერთხელ ქვა, მხოლოდ მოშორებით მდგარი ფაცხებიდან ხალხის გამოყვანა ითხოვა. თედორემ ისროლა, ქვა შოხვდა ერთ-ერთ ფაცხას და მიანგრია“.

მეფე არჩილის ცნობილ ნაწარმოებში სხვადასხვა ფიზიკური და სამხედრო-ფიზიკური ვარჯიშების ჩამოთვლის დროს ნახსენები აქვს ქვით სროლაც. ვფიქრობთ, რომ ქვის აწევის, გადატანის და გადაგდების ასეთი ფართო გავრცელების მიზეზი დაკავშირებული იყო თავდაცვასთან.

ო. ვახანიამ შეძლო დაედგინა, რომ აფხაზეთში ქვის აწევა და ტყორცნა შედიოდა ფიზიკური აღზრდის საშუალებათა სისტემაში. მანვე განმარტა, რომ სიმძიმეების — ქვების აწევაში შეჯიბრება ტარდებოდა როგორც წისქვილის ტერიტორიაზე, ასევე სპეციალურ მოედანზე, რომელიც მოწყობილი იყო „აიმწაკაჩარას“ სათამაშოდ და სადაც ეწყო სპეციალურად შერჩეული ქვები.

კალას თემში (სვანეთი) ერთმანეთს ეჯიბრებიან პურის საცხობი „კერიას“ კბილებით აწევაში, არის აგრეთვე მხრების სიმძიმეების აწევა, იგივე კალას თემში. ამ მიზნით გამოიყენეს 30 წლის წინათ სამრეკლოდან ჩამოღებული ზარი.

ვარჯიში ქვის აწევასა და გადატანაში, აგრეთვე სროლაში ხდებოდა სოფლის მოედნებზე, რომლებიც, როგორც წესი, განლაგებულნი იყვნენ სოფლის ცენტრში ან ეკლესიასთან. მაგრამ ვარჯიშობდნენ ხოლმე მინდვრებშიც, შორს მთებში (მწყემსები, მთიბავები შესვენების დროს), სახლების გვერდით, სოფლის გარეუბანში და ამ მიზნისათვის უფრო ხელსაყრელ ადგილებში.

რაც შეეხება სოფლის მოედნებს, ზოგიერთ სოფელში იგი ორი იყო. ამ შემთხვევაში ერთი საერთო-სასოფლო იყო, ხოლო მეორე—სოფლის განსაკუთრებული უბნის მცხოვრებთა შესაკრები ადგილი.

**ვ. ელაშვილი**

## პირველი საკავშირო

მოსკოვში ცსკა-ს დარბაზში გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონატი ბადმინტონში. ტურნირში მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის 11 გუნდის 128 სპორტსმენი. ქალთა ფინალამდე ძნელი გზა განვლეს რსფსრ-ს გუნდის წევრებმა მ. ზარუბამ და ვ. კოროვკინამ. მათ ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხეს წინასწარ შეხვედრებში და ფინალში გავიდნენ.

უძლიერესთა ფინალში მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ზარუბამ ძლიერად ჩაატარა გადამწყვეტი შეხვედრები, ძლია მოწინააღმდეგეს და მოიპოვა ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონის სახელი.

არანაკლებ მიმზიდველი იყო ვაჟთა ტურნირი. ოქროს მედლისათვის ბრძოლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი ნ. სოკოლოვი და რსფსრ-ს გუნდის წევრი ა. ერშოვი. ჩემპიონობა წილად ხვდა ნ. სოკოლოვს. ა. ერშოვი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

წყვილთა შეხვედრებში გაიმარჯვეს: ვაჟთა შორის — ა. ერშოვმა და ნ. პეშეხონოვმა, ქალებში — მ. ზარუბამ და ს. სმოლიაევამ. შერეულ წყვილში — ვ. და მ. დემინებმა.

ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით ჩვენს ქვეყანაში პირველად 10 სპორტსმენმა მოიპოვა ოსტატის წოდება.









სურათებზე: სიმძიმეთა აწევის, გადატანისა და სროლის სვანეთში დამოწმებული ფაქტები.



ს. მ. კიროვის სახელობის ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ნაყოფიერად მუშაობენ სპორტული სექციები. ტექნიკუმის ფრენბურთელებმა და ველომრბოლელებმა გასულ წელს საქართველოს საშუალო სპეციალური სასწავლებლების პირველობაზე პირველი ადგილები დაიკავეს.

სურათზე: მარცხნიდან — სასწავლებლის მოწინავე სპორტსმენები ა. ბაძგარაძე, ლ. წამებულიძე, მ. ცუკიდაშვილი, მასწავლებელი შ. ჩახნაშვილი, ა. შარმადინი და დ. ბეგიაშვილი მორიგი ვარჯიშის წინ საუბრობენ.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა

# ფეხბურთის მიმოხილვა

გაიმართა უკანასკნელი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის, მიუხედავად ამისა, გათამაშების ცხრილში სურათი ნათელი არაა. ჯერ კიდევ გაურკვეველია ის ხუთეულები, რომლებიც შექმნიან ფინალურ ჯგუფს და გაითამაშებენ რესპუბლიკის ჩემპიონის სახელს. ეს გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკურ პირველობაზე მონაწილე გუნდების ნაწილს სხვადასხვა მიზეზით გამოტოვებული აქვს მატჩები. აი მორიგ შეხვედრათა შედეგები:

**I ქვეჯგუფი**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი)-„მერცხალი“ (მახარაძე) — 2:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).**

ზესტაფონში დიდი ხანია არ უნახავთ ასეთი დაძაბული, ამაღელვებელი შეხვედრა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მასპინძელთა სატურნირო მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა ფინალურ ხუთეულში მოხვედრისათვის, მათ ამ მატჩამდე კვალდაკვალ მიუყვებოდნენ გორისა და წულუკიძის გუნდები, ამიტომ ზესტაფონელებს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ამ და მომდევნო მატჩებში უნდა გაემარჯვათ.

შეხვედრა დაიწყო სტუმრების განუწყვეტელი იერიშებით და ერთი მათგანი მახარაძელებმა მასპინძელთა კარის აღებით დაამთავრეს, რის შემდეგ თამაში გათანაბრდა. მალე ინიციატივამ ზესტაფონელთა მხარეს გადაინაცვლა. მასპინძელთა ერთ-ერთი იერიშის დროს მახარაძელებმა უხეშად ითამაშეს თავიანთ საჯარიმო მოედანზე, რისთვისაც 11-მეტრიანით დაჯარიმდნენ. „მეტალურგის“ ფეხბურთელებმა კარგად გამოიყენეს ანგარიშის გათანაბრების ეს საშუალება. წარმატებამ ახალი ენერგია შემატა ზესტაფონელ ფეხბურთელებს. მათ შეხვედრის დამთავრებამდე მეორე გოლიც გაიტანეს სტუმრების კარში და გაიმარჯვეს — 2:1.

**„ნადიკვარი“ (თელავი)-„განთიადი“ (ბათუმი) — 2:0. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).**

მოედანზე მიმდინარეობდა თანაბარი ბრძოლა, თუმცა იგრძნობოდა თელაველთა მეტი მონდომება, რამაც სათანადო ნაყოფიც გამოიღო. შესვენებამდე მათ ორჯერ აიძულეს „განთიადი“ თამაში დაეწყოთ ცენტრიდან. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა გააძლიერეს დაცვა, დროდადრო მიმართავდნენ კონტრშეტევებს და ბოლომდე შეინარჩუნეს პირველი ნახევრის ანგარიში.

**„ცისკარი“ (ცხაკაია)-„მეტალურგი“ (რუსთავი) — 4:1. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).**

აშკარა იყო ცხაკაიელთა ტერიტორიული უპირატესობა. „ცისკარის“ თავდამსხმელები მოქმედებდნენ აქტიურად და მალე ორი გოლიც გაიტანეს. შესვენებამდე „მეტალურგმა“ მოახერხა ერთი საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ მეორე ნახევარში „ცისკარმა“ თავის აქტივს კიდევ ორი გოლი დაუმატა და „მეტალურგი“ აიძულა დამარცხებულს დაეტოვებინა მინდორი.



**„მალაროელი“ (ჭიათურა)-„მეშახტე“ (ტყიბული) — 3:3. მსაჯი ა. ცაგარეიშვილი (თბილისი).**

შეხვედრის დაწყებიდან ხუთი წუთიც არ იყო გასული და სადემონსტრაციო დაფა უკვე აჩვენებდა 1:1. პირველი ნახევრის დამთავრებამდე ჭიათურელებმა 11-მეტრიანი საჯარიმოდან შეძლეს დაწინაურება. მასპინძლები შემდეგშიც აღმავლობით თამაშობდნენ და მალე ანგარიში 3:1-მდე აიყვანეს. ტყიბულელებმა იგრძნეს რა დამარცხების საშიშროება, მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე და ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

**II ქვეჯგუფი**

**„სპარტაკი“ (ცხინვალი)-„განთიადი“ (ბორჯომი) — 1:1. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).**

შეხვედრა მიმდინარეობდა ნელ ტემპში, უინტერესოდ. არ იგრძნობოდა ბრძოლის სიმწვავე. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და იშვიათად აწუხებდა მეკარეებს. მხოლოდ მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გამოფხიზლდნენ მასპინძლები, შეუტიეს ბორჯომელთა კარს და ანგარიშიც გახსნეს, მაგრამ ვალში არც სტუმრები დარჩენილან. ბორჯომელებმა უკანასკნელ წუთებზე შეძლეს საპასუხო გოლის გატანა—1:1.

**„ისანი“ (თბილისი)-„დურუჯი“ (ყვარელი) — 1:0. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).**

ორივე გუნდმა ამ მატჩში აჩვენა უინტერესო, მკვეთრი თამაში, რაც ხშირად ზედმეტ უხეშობაში ვლინდებოდა. პირველ ნახევარში ანგარიში გახსნეს თბილისელებმა, ეს იყო გადამწყვეტი გოლი ამ მატჩში.

შესვენების შემდეგ ორმხრივმა უხეშობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. სპორტსმენები ურთიერთ შეურაცყოფითა და ფეხბურთში აკრძალული ილეთების გამოყენებით ცდილობდნენ წონასწორობიდან ერთმანეთის გამოყვანას. ჩხუბისათვის მსაჯმა მოედნიდან გააძევა ი. არუთინოვი („ისანი“) და ე. თაყაშვილი („დურუჯი“). მალე მათ გზას გაჰყვა „ისნის“ გუნდის წევრი ა. ვასილიევი, მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

ყველაზე აღმაშფოთებელ ფაქტს ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა გუნდები მატჩის დამთავრების შემდეგ ცენტრში მოეწყვნენ უკანასკნელ ცერემონიალზე. ყვარლელებმა ლ. ქამუტაშვილმა და ა. ზაუტაშვილმა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართეს მსაჯს. ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ თავისი მსჯელობის საგნად უნდა გახადოს ხულიგანთა მოქმედება, სათანადოდ დასაჯოს ისინი, ხოლო გუნდის ხელმძღვანელებს მიუთითოს კოლექტივებში დაბალი პოლიტაღმზრდელობითი მუშაობისათვის.

**„ოდიში“ (ზუგდიდი)-„გურია“ (ლანჩხუთი) — 2:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**

ამ მატჩზე ბევრად იყო დამოკიდებული, შეძლებდნენ თუ არა ზუგდიდელები ამ ზონის გუნდების საფინალო ხუთეულში თამაშის უფლების მოპოვებას. შეხვედრის მე-9 წუთზე თირქიამ შორიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში, შემდეგში ლანჩხუთელებს ჰქონდათ საპასუხო გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ისინი გამოუყენებელი რჩებოდა.

შეხვედრის 74-ე წუთზე საჯარიმოდან ზუგდიდელ ქუხილავას ძლიერად დარტყმული ბურთი „გურიის“ კარში აღმოჩნდა — 2:0. დარჩენილ დროში მოედანზე სურათი შეიცვალა. მასპინძლები გადავიდნენ დაცვაზე და ლანჩხუთელებს საშუალება მისცეს დაპატრონებოდნენ მოედანს. სტუმრებმა ერთ-ერთი შეტევისას მოიპოვეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, მაგრამ ზუგდიდელთა მეკარე შ. კიტიამ, რომელიც ამ დღეს შესანიშნავად თამაშობდა, შეძლო ბურთის აღება.

შედგა ერთი გამოტოვებული მატჩი. თამაშობდნენ:

**„მესხეთი“ (ახალციხე)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 4:2. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**

მატჩი დაიწყო ახალციხელთა ტერიტორიული უპირატესობით. „მესხეთის“ ფეხბურთელებმა შესვენებამდე სამი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში 4:0-მდე გაზარდეს. მხოლოდ ამის შემდეგ მოუმატეს ტემპს სამტრედიელებმა, შეძლეს ორი გოლის გაქვითვა და დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი.

**I ქვეჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეშახტე“ ტყიბული | 26 | 14 | 7 | 5 | 51—31 | 35 |
| სას. სამ. ინსტ. თბილისი | 24 | 11 | 11 | 2 | 41—20 | 33 |
| „მერცხალი“ მახარაძე | 25 | 11 | 10 | 4 | 43—19 | 32 |
| „იმერეთი“ ქუთაისი | 22 | 14 | 3 | 5 | 48—16 | 31 |
| „მეტალურგი“ ზესტაფონი | 26 | 12 | 6 | 8 | 36—29 | 30 |
| „დილა“ გორი | 25 | 10 | 10 | 5 | 32—27 | 30 |
| „ცისკარი“ ცხაკაია | 24 | 10 | 8 | 6 | 47—30 | 28 |
| „განთიადი“ ბათუმი | 25 | 10 | 5 | 10 | 27—32 | 25 |
| „მალაროელი“ ჭიათურა | 26 | 9 | 6 | 11 | 39—39 | 24 |
| „ნადიკვარი“ თელავი | 24 | 8 | 7 | 9 | 40—42 | 23 |
| „წინსვლა“ წულუკიძე | 22 | 4 | 8 | 10 | 23—39 | 16 |
| „ხალხინო“ გეგეჭკორი | 24 | 5 | 5 | 14 | 32—59 | 15 |
| „მექანიზატორი“ ფოთი | 25 | 4 | 5 | 16 | 26—50 | 13 |
| „მეტალურგი“ რუსთავი | 26 | 3 | 3 | 20 | 23—74 | 9 |

**II ქვეჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე“ თბილისი | 25 | 18 | 3 | 4 | 57—26 | 39 |
| „გურია“ ლანჩხუთი | 25 | 16 | 3 | 6 | 42—23 | 35 |
| „მესხეთი“ ახალციხე | 25 | 14 | 4 | 7 | 48—32 | 32 |
| „ლოკომოტივი“ სამტრედია | 22 | 13 | 4 | 5 | 52—28 | 30 |
| „ოდიში“ ზუგდიდი | 25 | 12 | 5 | 8 | 50—31 | 29 |
| „შუქურა“ ჩაქვი | 25 | 12 | 5 | 8 | 36—32 | 29 |
| „განთიადი“ ბორჯომი | 26 | 6 | 11 | 9 | 22—32 | 23 |
| „შახტიორი“ ტყვარჩელი | 23 | 6 | 10 | 7 | 36—34 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 21 | 8 | 4 | 9 | 32—29 | 20 |
| „სპარტაკი“ ცხინვალი | 26 | 5 | 9 | 12 | 40—59 | 19 |
| „დინამო“ სოხუმი | 24 | 4 | 10 | 10 | 17—30 | 18 |
| „ისანი“ თბილისი | 21 | 6 | 5 | 10 | 17—32 | 17 |
| „დურუჯი“ ყვარელი | 26 | 4 | 8 | 14 | 33—57 | 16 |
| „კახეთი“ გურჯაანი | 24 | 1 | 7 | 16 | 15—56 | 9 |

## ოლიმპიური მატჩები

**როგორც** ცნობილია, დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის სპორტულმა წრეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირში ფეხბურთელთა ერთიანი გუნდის გამოყვანის საკითხზე. მაშინ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მათ წინადადება მისცა გფრ-სა და გდრ-ს გუნდებს შორის გამართულიყო ორი მატჩი. გამარჯვებული იბრძოლებდა ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირში. ამ გუნდების პირველი შეხვედრა გაიმართა კარლ-მარქს-შტადტში. მატჩი მოიგეს გდრ-ს სპორტსმენებმა — 3:0. განმეორებითი შეხვედრა მოეწყობა ჰანოვერში.

**ოლიმპიური** შესარჩევი ტურნირის მორიგ წრეში თამაშის უფლება მოიპოვა დიდი ბრიტანეთის გუნდმა, მან საკუთარ მოედანზე ანგარიშით 4:0 დაამარცხა ისლანდიის გუნდი. ამ კოლექტივების პირველ მატჩშიც გაიმარჯვეს ბრიტანელებმა და ახლა ისინი შეხვდებიან საბერძნეთის ფეხბურთელებს.

## ტურნირი ოჩამჩირეში

15 სექტემბერს ოჩამჩირეში, „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე დაიწყო „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ფეხბურთში.

შეჯიბრებაზე მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ: რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

შეჯიბრების პირველ დღეს საქართველოს გუნდმა (მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ძიაპშიპა) დიდი მონდომებით ჩაატარა შეხვედრა ლვოვის ძლიერ კოლექტივთან და მიაღწია დამსახურებულ გამარჯვებას ანგარიშით 2:0.

როსტოვის გუნდმა (რსფსრ) მინიმალური ანგარიშით — 1:0 დაამარცხა სომხეთის კოლექტივი. საქართველოს ახალგაზრდული გუნდი 22 სექტემბერს შეხვდება სომხეთის გუნდს, ხოლო 24 სექტემბერს — ლუგანსკის კოლექტივს.

ს. მეგრელიშვილი

ფეხბურთის მიმოხილვა

АПН

# ვინ უფრო მეტს?...

ვინფრიდ ბელკე — დასავლეთ გერმანიის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია ველოსპორტში. ამას წინათ ფრანგულმა საავტომობილო ფირმა „პიჟომ“ წინადადება მისცა ბელკეს მიეტოვებინა სამოყვარულო სპორტი და ფირმის ნაწარმის რეკლამის მიზნით მონაწილეობა მიეღო პროფესიონალ ველოსიპედისტთა რბოლებში. დიდხანს არც კი უფიქრია, ბელკემ მიიღო წინადადება და დათანხმდა ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე. მაგრამ უეცრად ფეხზე დადგნენ დასავლეთ გერმანიის მოყვარულ ველოსიპედისტთა კავშირის მოღვაწეები. გფრ-ს ველოსიპედისტთა კავშირის ხელმძღვანელმა ჰერ შულცმა განაცხადა: „ჩვენ ყოველგვარი ფინანსური დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ ბელკეს, რომ იგი კვლავ მოყვარულთა რიგებში ჩადგეს“. მაგრამ როგორც დასავლეთგერმანული პრესა იუწყება, ამ დაპირებას ჯერ კიდევ არ შეუცვლია ჩემპიონის გადაწყვეტილება. ბელკეს ჯერ კიდევ არ მოუწერია ხელი პროფესიონალებში გადასვლის ხელშეკრულებაზე, ალბათ იმიტომ, რომ ელოდება როდის დაასახელებენ ზუსტ თანხას, ე. ი. მას უნდა გაიგოს, ვინ უფრო მეტს გადაიხდის...




**ტოკიო.** აზიის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს მომავალი წლიდან ჩაატაროს აზიის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ისევე, როგორც ეს ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში ტარდება.

**მიუნხენი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის გარდაქმნასთან დაკავშირებით (ახლა ჩამოყალიბდა უმაღლესი ლიგა 16 უძლიერესი კლუბის მონაწილეობით) კლუბებმა დაუყოვნებლივ ასწიეს ფასი ბილეთებზე. „კელნმა“, „შალკემ“, „მიუნჰენ 1860“-მა. და „ჰერტამ“ გაზარდეს დასადგომი ადგილების ფასი 3,5 მარკამდე, დასაჯდომისა კი — 12 მარკამდე, ზოგჯერ 14 მარკამდე. „ფკ კარლსრუემ“ დააწესა ფასი 15 მარკამდე.

**ბუდაპეშტი.** აქ გამოცხადებულ იქნა, რომ უნგრეთის ეროვნული ნაკრები წლის ბოლომდე შემდეგ საერთაშორისო მატჩებს ჩაატარებს: 22 სექტემბერს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან, 6 ოქტომბერს ბელგრადში, იუგოსლავიის ნაკრებთან, 20 ოქტომბერს ბერლინში და 3 ნოემბერს ბუდაპეშტში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან (ევროპის თასზე) და 27 ოქტომბერს ბუდაპეშტში, ავსტრიის ნაკრებთან.

**პარიზი.** ფრანგ პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდიუმის არჩევნებში პრეზიდენტად კვლავ ჟ. ფონტენი გავიდა, ვიცე-პრეზიდენტად კი — რ. კოპა. პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა გადაწყვიტა იბრძოლოს კლუბების წინააღმდეგ, რომლებიც ძალაში მყოფი კანონებით პირდაპირ იმონებენ მოთამაშეებს.



# თეთნულდი

მარადისობის ცივ სივრცეში
სიმშვიდით მძინარს
გოლიათ მხრებზე წამოუსხამს
ნისლების თექა.
შეუპოვრობის ღრმა დასტურად
მყინვარი ბზინავს
და ბებერ მკერდქვეშ ქვისვე გული
ძალუმად ფეთქავს.

მზერა ამაყი, შუბლშეკრული,
ზვიადი — კუშტად,
მხრებგანიერი გზას ულობავს
სამხრეთის ქარებს,
მიწა ქალამნად მიაჩნია,
ცა ხურავს ქუდად
და გადმოსცქერის მედიდურად
მაღლიდან სვანეთს.

დღისით მზეს უჰვრეტს,
ღამით ზვერავს ლალის
ვარსკვლავებს,
თავს დასტრიალებს
ფრთებგაშლილი
არწივთა გუნდი,
ბრძოლებში იწვევს ყველა ქვეყნის
მამაც მთასვლელებს
შეუპოვარი, ბუმბერაზი, თეთრი
თეთნულდი!

დ. ხახიაშვილი



2

# ჯალმა სანტოსი

ბრაზილია ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ყველა მსოფლიო ჩემპიონატში. მაგრამ ადრე ერთიდაიგივე სურათი მეორდებოდა — გადამწყვეტ მომენტში გუნდი მარცხს განიცდიდა. ტექნიკურად ბრწყინვალედ მომზადებულ გუნდს აკლდა კოლექტივიზმი, ფსიქოლოგიური სიმტკიცე. ამასთან ბრაზილიელები ადრე რამდენადმე ცალმხრივად იბრძოდნენ: ისინი დიდებულად ატარებდნენ შეტევას, მაგრამ იქ, სადაც საჭირო ხდებოდა თავდაცვა, აშკარად ჩამორჩებოდნენ მსოფლიოს სხვა წამყვან კოლექტივებს. სწორედ სუსტი დაცვის გამო განიცადეს ბრაზილიელებმა „ფიასკო“ 1950 წელს, მსოფლიოს IV ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ურუგვაელებთან. ისევ დაცვას გაუჩნდა ბზარი V ჩემპიონატშიც, როდესაც ბრაზილიელებმა ფარ-ხმალი დაყარეს უნგრეთის „დიდ გუნდთან“. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სამხრეთამერიკელთა ამ ავადმყოფობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო და მისი გამოსწორება შეუძლებელი იქნებოდა.

ამიტომ დიდად მოულოდნელი იყო ბრაზილიელთა პირველივე გამოსვლა მსოფლიოს VI ჩემპიონატის მატჩში ავსტრიელებთან. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიელებს უდავო ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა და მეტოქეებს დიდად ავიწროებდნენ, გოლები მათ კარში გადიოდა. საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა ბრაზილიელების სამივე მცველმა: დე სორდიმ, ბელინიმ და ნ. სანტოსმა. შემდეგ მატჩში დე სორდი ევროპელთათვის მანამდე უცნობმა ზანგმა ჯალმა სანტოსმა შეცვალა და ბრაზილიელების დაცვა პირდაპირ შეუვალი გახდა.

იმავე 1958 წელს ჯალმა სანტოსი მსოფლიოში უძლიერეს მცველად აღიარეს და ამ რეპუტაციას იგი დღემდე ინარჩუნებს. ვის წინააღმდეგ არ უთამაშნია ჯ. სანტოსს თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე? ესპანელი ჰენტო, ინგლისელი ჩარლტონი, შვედი სკოგლუნდი, უნგრელი ფენვეში ყველა სხვა მცველებს შიშის ზარს სცემდნენ, მაგრამ სანტოსთან ვერაფერს აწყობდნენ. ერთი შეხედვით ჯ. სანტოსი თითქოს მოდუნებულია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას ეს-ეს არის გაექცევა თავდამსხმელი, მაგრამ ყველაფერი ეს მოჩვენებითია. ჯ. სანტოსი მეტოქისათვის ბურთის წართმევის დიდოსტატია. ამას იგი ისეთი სიმშვიდითა და სილამაზით აკეთებს, რომ ოვაციას იწვევს ტრიბუნებზე. თავის თანამოგვარე ნილტონ სანტოსისაგან განსხვავებით, ჯალმას არ უყვარს შეტევითი რეიდების განხორციელება, მაგრამ იგი დიდებულად უწევს კონტროლს თავისი „უბნის“ თვითეულ გოჯს, მეტოქის მასირებული იერიშის დროსაც კი თავისი „ოლიმპიური სიმშვიდით“ ამხნევებს პარტნიორებს.

შვეციის პაექრობასთან შედარებით ჩილში ბრაზილიელ მცველებს ბევრად უფრო მეტი ჯაფა დაადგათ. საქმე მარტო ის როდი იყო, რომ ჯალმა და ნილტონ სანტოსები ოთხი წლით უფრო ხნიერები გახდნენ. ბრაზილიელებს ხომ, როგორც მსოფლიო ჩემპიონებს, ყველა უდიდესი სპორტული ჟინითა და სიავით ეთამაშებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრაზილიელებმა ერთხელ კიდევ მოახერხეს მსოფლიოს უძლიერესი ფორვარდების შეკავება და დაამტკიცეს, რომ ფეხბურთის სამყაროში კვლავ არ ჰყავთ ბადალი.

საყურადღებოა, რომ თავის კლუბში ჯ. სანტოსი ცენტრალურ მცველად თამაშობს. იგი დიდი ხანია უკვე ვეტერანია, ბევრჯერ მოუნახეს ახალგაზრდა „მემკვიდრეები“, მაგრამ ჯერჯერობით მისი შეცვლა შეუძლებელი აღმოჩნდა.

წელს ევროპელებმა ერთხელ კიდევ იხილეს ბრაზილიის ნაკრები. შვეციისა და ჩილის ტრიუმფატორებმა მაყურებლებზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს. სამხრეთამერიკელი გასტროლიორები არაფრით გავდნენ მსოფლიო ჩემპიონებს, ზოგმა მათგანმა უკვე დაკარგა ფორმა, ზოგი კი აშკარად „უფრთხილდებოდა ფეხებს“. გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ მეკარე ჟილმარი და ჯ. სანტოსი. რომ ეს ორი სპორტსმენი არა, ბრაზილიელთა ისედაც წარუმატებელი ტურნე მთლად სამარცხვინოდ დამთავრდებოდა.

რა თქმა უნდა, ჯ. სანტოსის სპორტული კარიერა დასასრულს მიუახლოვდა, ახლა თვით ყველაზე უფრო ოპტიმისტურად განწყობილი გულშემატკივრებიც კი ვერ იტყვიან იმას, რომ ჯალმა თავის პოზიციას შეინარჩუნებს ბრაზილიის ნაკრებში 1966 წლისათვის, მით უმეტეს, რომ კარგადაა ცნობილი ნაკრების მწვრთნელების კურსი ახალგაზრდობისაკენ. მაგრამ ჯერჯერობით ჯალმა სანტოსმა „დენთი მშრალად შემოინახა“ და ინარჩუნებს პოსტს ახალგაზრდა „ვარსკვლავთა“ შორის. იგი უეჭველად იქნა შეყვანილი სამყაროს ნაკრებში.

ბ. ბამრეკელი



ცნობილი ფრანგი მორბენალი საშუალო დისტანციებზე, მიშელ ჟაზი პროფესიით არანაკლებ ცნობილი ლინოტიპისტია. იგი წარმატებით ემსახურება როგორც სპორტს, ისე პოლიგრაფიას.

**სურათზე** თქვენ ხედავთ ჟაზის მორიგ ინტერვიუს სპორტულ ჟურნალ „ეკიპის“ კორესპონდენტთან. ეს ხდება დღისით, ხოლო საღამოს ალბათ თვითონვე მოუწევს ამ ინტერვიუს აწყობა სტამბაში.

# თავისებურად გაიგო

— დაიხსომეთ ჩემი უკანასკნელი მითითება ყმაწვილებო! — უთხრა მწვრთნელმა ახალბედა ფეხბურთელებს. — თუ თამაშის დროს ვერ შეძლებთ დაარტყათ ბურთს, ურტყით მოწინააღმდეგეს, გასაგებია? ახლა კი, — განაგრძო მან, — შევუდგეთ საქმეს. მინდვრისაკენ წაიღეთ ბურთი.

— ეშმაკსაც წაუღია ბურთი, — წამოიძახა ბობიმ, — მოდით, დავიწყოთ თამაში.

მ. ისაკოვი

რედაქტორი ი. უბულავა.

20-29 სექტემბერი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

საკავშირო შეჯიბრება

რეგბიში

მონაწილეობენ: მოსკოვის, ოდესის, რიგისა და თბილისის გუნდები.

თამაშების დასაწყისი 20, 21, 23 და 24 სექტემბერს 13 ს. 30 წ. 22-ში 11 ს. 27-29 სექტემბერს თამაშები ჩატარდება სპა-ს სტადიონზე. დასაწყისი 13 ს. 30 წ.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01204